ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი
არასამთავრობო ორგანიზაცია სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი
„თაობათა დიალოგი“ და
ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიას შორის

ქალაქი ბაღდათი, საქართველო
20 აგვისტო, 2020 წელი

არაკომერციული ორგანიზაცია სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“ წარმოდგენილი ორგანიზაციის გენერალური მდივნის ეკატერინე მარუქაშვილის სახით (შემდგომში მხარე 1) და ბაღდათის მუნიციპალიტეტი მერია, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის არჩილ გოგსაძის სახით (შემდგომში მხარე 2),

აღიარებენ რა:
ბაღდათის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის პიროვნული უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების განვითარების, გააქტიურების და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის მნიშვნელობასა და ადგილობრივი ახალგაზრდებისათვის ახალგაზრდული სივრცის საჭიროებას.

რათა მიღწეული იყოს მიზანი,
ბაღდათის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 14-დან 29-წლამდე ახალგაზრდებისათვის ახალგაზრდული სივრცის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მათ პიროვნული უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების განვითარებას, გააქტიურებას და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვას.

მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთანამშრომლობის მნიშვნელობის გათვალისწინებით სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის „GAME ზონა“ ფარგლებში შეთანხმდნენ ქვემოთ ჩამოთვლილ მემორანდუმის მუხლებზე:

მუხლი 1. მხარეთა ვალდებულებები

1.1. მხარე 2 ვალდებულია

- მხარი დაუჭიროს და ჩაერთოს პროექტით „GAME ზონა“ გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესში;
- საგრანტო პროექტით გათვალისწინებული თანამონაწილეობისათვის მხარეებს შორის დადებული საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე გამოყოს 7 000 (შვიდი ათასი) ლარი;
- საგრანტო პროექტის ფარგლებში დროებითი სარგებლობის წესით გადასცეს მხარე 1-ს პროექტის აქტივობების განსახორციელებლად და ახალგაზრდული ცენტრის შესაქმნელად შესაბამისი სივრცე;
- საგრანტო პროექტის „GAME ზონა“ დასრულების (25.04.2021) შემდეგ, 2 წლის ვადაში (25.04.2023-მდე) არ დატვირთოს ახალგაზრდული ცენტრისთვის გამოყოფილი სივრცე სხვა ფუნქციით და შეინარჩუნოს იგი იმავე დანიშნულებით. .
- სარგებლობის უფლებით გაცემულ, ახალგაზრდული ცენტრისათვის გამოყოფილ სივრცეში, საგრანტო პროექტის ვადებით განსაზღვრულ დროში (10.08.2020დან - 25.04.2023 ის ჩათვლით) კომუნალური გადასახადების დაფარვა (დენი, გაზი, ინტერნეტი, წყალი, დასუფთავება) განხორციელდეს მხარე 2 -ის (ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებული (ა.(ა.) ი.პ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი) მიერ.

1.2. მხარე 1 ვალდებულია:

- დაგეგმოს და განახორციელოს პროექტით „GAME ზონა“ გათვალისწინებული აქტივობები და პროექტის განხორციელების პროცესის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მხარე 2-ს.
- საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული თანამონაწილეობის თანხის ხარჯვის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდოს მხარე 2-ს;
- შექმნას ახალგაზრდული ცენტრის მოდელზე დაფუძნებული სივრცე ადგილობრივი ახალგაზრდების პიროვნული უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების განვითარების, გააქტიურების და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვისათვის.
- აწარმოოს ფინანსური და ნარატიული ანგარიშების წარმოება და წარდგენა სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოსათვის.

მუხლი 2. მოქმედების ვადა

მემორანდუმი ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2023 წლის 25 აპრილამდე.

მუხლი 3. ცვლილებები და დამატებები

აღნიშნული მემორანდუმი შეიძლება შეიცვალოს ან მას შეიძლება დაემატოს მუხლი, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, დანართის ხელმოწერის გზით, რომელიც შეთანხმების შემადგენელი ნაწილი იქნება.

აღნიშნული მემორანდუმი შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომლებსაც თანაბარი იურიდიული ძალა გააჩნიათ.

ეკატერინე მარუქაშვილი
სამეცნიერო-ინტელექტუალური
კლუბის „თაობათა დიალოგი“
გენერალური მდივანი

არჩილ გოგსაძე
ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერი

20.08.2020